ცერებრული დამბლის დიაგნოზის მქონე ბავშვთა ოჯახების გამოწვევები პაციენტთა მართვასა და რეაბილიტაციის პროცესში

ელენე გელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ნიკოლოზ ფრუიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე გელაშვილი

19/06/2025

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს საქართველოში ცერებრული დამბლის დიაგნოზის მქონე ბავშვთა ოჯახების გამოწვევებს პაციენტის მართვისა და რეაბილიტაციის პროცესში. ქვეყანაში აღნიშნულ საკითხზე კვლევების სიმცირის ფონზე, ნაშრომის მიზანია ამ ოჯახების გამოცდილების სიღრმისეული ანალიზი, ძირითადი სისტემური და პრაქტიკული ბარიერების იდენტიფიცირება და არსებული სერვისების გასაუმჯობესებლად მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. მონაცემები შეგროვდა 10 რესპონდენტთან ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების საშუალებით. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა თემატური ანალიზის მეთოდით, რაც საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს გამოწვევების კომპლექსური ხასიათი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე სისტემური ხარვეზი. ერთ-ერთ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა ცერებრული დამბლის დროული დიაგნოსტირების სირთულე. სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული უთანასწორობის გამო ოჯახებს ხარისხიანი სერვისების მისაღებად ხშირად უწევთ საცხოვრებელი ადგილიდან შორს გადაადგილება. სახელმწიფო პროგრამები არასაკმარისია, ხოლო დამხმარე საშუალებების შეძენა დიდ ფინანსურ და ბიუროკრატიულ ბარიერებთანაა დაკავშირებული. ინფორმაციული ვაკუუმი, მძიმე ფინანსური ტვირთი, ექიმთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და ყოველდღიური ზრუნვით გამოწვეული ფიზიკური და ემოციური გადაღლა ოჯახების მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს. ამასთან, არ არსებობს ისეთი სერვისები, როგორიცაა პირადი ასისტენტისა და ადაპტირებული ტრანსპორტის მომსახურება. კვლევამ აჩვენა, რომ არსებული გამოწვევების ფონზე, მშობლები იძულებულნი არიან, თავად შეითავსონ პაციენტის მენეჯერის, კოორდინატორისა და ადვოკატის ფუნქციები.

დასკვნის სახით, კვლევის შედეგები ავლენს სისტემურ ხარვეზებს, რაც რეაბილიტაციის ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე ახდენს გავლენას. კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს სერვისების კოორდინაციის, ინფრასტრუქტურული პირობების, სახელმწიფო მხარდაჭერისა და მშობელთა ინფორმირებულობის დონის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: ცერებრული დამბლა, ოჯახის გამოწვევები, რეაბილიტაცია, სერვისების ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვის პოლიტიკა, მხარდაჭერა.

Abstract

This master's thesis investigates the challenges faced by families of children with Cerebral Palsy in Georgia during the process of patient management and rehabilitation. Given the scarcity of research on this topic in the country, the aim of the thesis is to conduct an in-depth analysis of these families' experiences, identify key systemic and practical barriers, and develop evidence-based recommendations for improving existing services.

A qualitative research method was used for the study. Data was collected through semi-structured interviews with 10 respondents. The data was analyzed using the thematic analysis method, which allows for the identification of the complex nature of the challenges.

The study revealed several systemic flaws. One of the systemic problems is the difficulty of timely diagnosis of pediatric Cerebral Palsy. Due to the inequality in the quality and accessibility of services, families often have to travel far from their place of residence to receive quality services. State programs are insufficient, while acquiring assistive devices is associated with significant financial and bureaucratic barriers. An information vacuum, a heavy financial burden, insufficient qualifications of doctors, and physical and emotional exhaustion caused by daily care constitute the main challenges for families. Furthermore, services such as personal assistants and adapted transport are non-existent. The study showed that, against the backdrop of existing challenges, parents are forced to assume the roles of patient manager, coordinator, and advocate.

In conclusion, the research findings reveal systemic flaws that affect the quality and accessibility of rehabilitation. Based on the study, recommendations have been developed aimed at improving service coordination, infrastructural conditions, state support, and the level of parental awareness.

Keywords: Cerebral Palsy, family challenges, rehabilitation, service accessibility, health policy, support.